საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №4

2015 წლის 20 აგვისტო

ქ.თბილისი

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით (სსმ III, 14.12.2005 წ., №145, მუხლი 1620) დამტკიცებულ დებულებაში შევიდეს ცვლილება და დადგენილების დანართ №5-ში სიტყვები |საეთერო ტელერადიომაუწყებლობა შეიცვალოს სიტყვებით საეთერო რადიომაუწყებლობა“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
თავმჯდომარე	**ვახტანგ აბაშიძე**